ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №767202

ნომერი: AR1142739

თარიღი : 28.06.2013

გაცემის თარიღი : 03.07.2013

გაცნობის თარიღი : 16.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩის და მინდელის ხიდის გადაკვეთასთან/ ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩაზე, საკალათბურთო კლუბ "დინამო"-სათვის დამაგრებული ტერიტორიის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ჭარბაძე პ/ნ 60002009297
- აბაშიძის 41

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1142739 28.06.2013 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.13.02.001.053 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2- (რზ-2). წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს. ასევე დასაშვებია ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 29 მარტის #4-13 გადაწყვეტილების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა.

კოეფიციენტები:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0.2

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) -——

მიწის ნაკვეთების გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3) – ——

ამასთან გაცნობებთ, რომ ვინაიდან საპროექტო ტერიტორიას მიერთებული აქვს მიწის ნაკვეთის ნაწილი, რომელზეც სამსახურის მიერ საზოგადოებრივი კვების ობიექტის ასაშენებლად გაცემულია მშენებლობის ნებართვა და აღნიშნული ნებართვის საფუძველზე დაწყებულია მშენებლობა, თავდაპირველად შეთანხმებულ დოკუმენტაციაში უნდა განხორციელდეს ცვლილება, რისთვისაც უნდა მოგვმართოს აღნიშნული ადმინისტრაციული აქტის მფლობელმა ან თუ აღარ ხორციელდება მშენებლობა უნდა მოხდეს საპროექტო დოკუმენტაციის გაუქმება (ქალაქთმშენებლობითი პირობები #596 2008.06.27, პროექტის შეთანხმება #01/1401 2008.10.16, მშენებლობის ნებართვა ნ/1795 2008.11.26) გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მშენებლობის (საძირკველი) ნაწილი დღევანდელი მდგომარეობით მოქცეულია თქვენი მიწის ნაკვეთის საზღვრებში, უნდა დააკონკრეტოთ მოთხოვნა აპირებთ აღნიშნული მშენებლობის გამოყენებას თუ დაშლას, ვინაიდან ზემოხსენებული საპროექტო დოკუმენტაციის გაუქმების შემთხვევაში აღნიშნული მშენებლობა ჩაითვლება უკანონოდ.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 15 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2013 წლის 28 ივნისს, საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 4 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 11 დღიანი ვადა მოთხოვნის დასაზუსტებლად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 11 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი საბუთი, საკითხი დარჩეს განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.